აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის საქმიანობის ანგარიში

(31.08.2017 – 31.08.2018)

2018 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე
ცოტნე ანანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ილია ვერძაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“

კომიტეტის წევრები:
ვლადიმერ მგალობლიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება“
ნუგზარ სურმანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
ელგუჯა ბაგრატიონი - ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
პეტრე ზამბახიძე - უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

კომიტეტის აპარატი
ბაკურ ბოლქვაძე - აპარატის უფროსი
თამარ წილოსანი - კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე
ეკატერინე ბერიძე - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
ირაკლი აბაშიძე - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
თამაზ ქობულაძე - მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი არის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის, აჭარის ა.რ. კონსტიტუციის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა საკანონმდებლო აქტების, კომიტეტის დებულების, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სხვა საერთაშორისო აქტების შესაბამისად.

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად კონტროლს უწევს კანონის აღსრულებასა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და აჭარის ა.რ. მთავრობის საქმიანობას. მონაწილეობს უმაღლეს საბჭოში შემოსული კანონპროექტების განხილვა-დამუშავებაში, განიხილავს აჭარის ა.რ. რესპუბლიკურ ბიუჯეტს, აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ა.რ. მთავრობის წევრთა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს რომლებსაც ირჩევს, ამტკიცებს და რომელთა დანიშვნაზე თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო. ყველა ამ საკითხზე კომიტეტი ამზადებს შესაბამის დასკვნას და წარუდგენს უმაღლეს საბჭოს. კომიტეტი აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს და რეაგირებას ახდენს მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე. კომიტეტი თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან.

საკანონმდებლო საქმიანობა

კომიტეტში საანგარიშო პერიოდში მოწვეულია 12 სხდომა, განხილულია :
კანონის პროექტი:
აჭარის ა.რ. კონსტიტუციური კანონის პროექტი „აჭარის ა.რ. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“
კანონის პროექტი - აჭარის ა.რ. 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ
აჭარის ა.რ. 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ა.რ. კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების პროექტი - აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

ანგარიშები:
აჭარის ა.რ. 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიში
აჭარის ა.რ. 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში
აჭარის ა.რ. 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში
აჭარის ა.რ. 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების ანგარიში

- აჭარის ა.რ 2018 -2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი
- აჭარის ა.რ. სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკომენტი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი აჭარის ა.რ. მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსად - კახაბერ კირტავას დანიშვნაზე აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს გენერალური აუდიტორისათვის თანხმობის მიცემის საკითხები.

რეზოლუციის პროექტი - ცხინვალის რეგიონში (ე.წ. სამხრეთ-ოსეთში) საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილისა და საქართველოს საოკუპაციო ხაზთან საქართველოს მოქალაქე გიგა ოთხოზორიას სიცოცხლის ხელყოფის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხებზე კომიტეტმა მოამზადა 13 დასკვნა.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა საკონსტიტუციო ცვლილება - უმაღლესი საბჭოს მიერ 2018 წლის 21 მარტს მიღებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (4 მაისი 2018 წ. N2289-IIს), რომლის ავტორიც და ინიციატორიც გახლდათ 14 წევრთან ერთად კომიტეტის წევრები: ცოტნე ანანიძე, ილია ვერძაძე, ნუგზარ სურმანიძე, ლადო მგალობლიშვილი.
2018 წლის 15 იანვრის უმაღლესი საბჭოს დადგენილების („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე (#65 -უ.ს.რ.ს)) თანახმად, კომიტეტის წევრები - ილია ვერძაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი და პეტრე ზამბახიძე იყვნენ ასევე კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვების საორგანზაციო ჯგუფის წევრები.
სულ 10 საჯარო განხილვა მოეწყო აჭარის ყველა მუნიციპალიტეტსა და ბათუმში.

კორესპონდენციის ანალიზი

კომიტეტმა წარმოებაში მიიღო სულ 325 კორესპონდენცია-დოკუმენტი, რომელთაგან ყველა რეგირებულია.

შემოსული და გასული კორესპონდენციების სტატისტიკა
(31.08.2017 - 31.08.2018)

შემოსული

მოქალაქეები	
დასაქმება	3
საკუთრების უფლების დაცვა/აღდგენა	9
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	3
სოციალური პირობები	1
კანონიერი უფლებების დაცვა	6
შუამდგომლობის თხოვნა შეწყალებაზე და პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე	32
სხვა	6
სულ -	60
მსჯავრდებული/ბრალდებული მოქალაქეები	
შესაძლო არასათანადო მოპყრობა	4
შესაძლო არასათანადო სამედიცინო მომსახურება	37
შუამდგომლობის თხოვნა ეტაპირებაზე	3
შუამდგომლობა პირობით გათავისუფლებაზე	3
თხოვნა პირადად შეხვედრაზე	6
შეწყალებაზე შუამდგომლობის თხოვნა	1
სხვა	82
სულ -	136
უწყებები და ორგანიზაციები	
სასჯელაღსრ. და პრობაციის სამინისტრო	7
პროკურატურა	2
პენიტენციური დაწესებულება	21
საქართველოს პარლამენტი	9
აჭარის ა.რ. მთავრობა	2
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	4
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1
აჭარის დასაქმების სააგენტო	2
სსიპ აჭარის ტელევიზია და რადიო	2
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	1
სახალხო დამცველის აპარატი	2
შიდა შემოსული კორესპონდენცია	73
სხვა	2
სულ -	128
შემოსული კორესპოდენციის საერთო ჯამი	**325**

გასული

პასუხი მოქალაქეებს	54
პასუხი მსჯავრდებულ/ბრალდებულ მოქალაქეებს	28
სასჯელ. და პრობაციის სამინისტროს	31
პროკურატურას	16
პენიტენციურ დაწესებულებას	16
საქართველოს პრეზიდენტს	13
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას	9
აჭარის ა.რ. მთავრობას	3
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს	4
საქართველოს პარლამენტი	1
სახალხო დამცველის აპარატი	1
ხელვაჩაურის მუნიციპ. გამგეობას	2
აჭარის დასაქმების სააგენტოს	2
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	1
სსიპ აჭარის ტელევიზია და რადიოს	1
შიდა გასული კორესპონდენცია	42
სხვა	5
გასული კორესპოდენციის სერთო ჯამი	**229**

კომიტეტში მოქალაქეთა მიღების ფარგლებში მოუსმინეს და შესაბამისი რეაგირება გაეწია 172 მოქალაქეს:

კომიტეტის თავმჯდომარე - 67 მოქალაქე;

კომიტეტი აპარატი - 105 მოქალაქე

პატიმართა უფლებები

ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე თავისი კომპეტენციის ფარგლებში მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე (სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 24 ივნისის #2740 ბრძანება - # 3 პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მინიჭების შესახებ), მონიტორინგს უწევდა აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე არსებულ # 3 პენიტენციურ დაწესებულებას.

პენიტენციურ დაწესებულებაში კომიტეტის თავმჯდომარე საანგარიშო პერიოდში იმყოფებოდა 9 -ჯერ, რა დროსაც ინდივიადუალურად გაესაუბრა სულ - 87 პატიმარს.

პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტების დროს პატიმრები უმეტესწილად დროული სამედიცინო მომსახურების კუთხით გამოთქვამდნენ პრეტენზიებს, პოსტ-ოპერაციულ მდგომარეობისას შესაძლო გართულებებზე, დამატებითი კვლევების ჩატარების აუცილებლობაზე საუბრობდნენ. რამდენიმე პატიმარმა მისთვის საჭირო შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით კომიტეტის თავმჯდომარის ჩარევის შემდეგ ისარგებლა. ასევე, საუბრობდნენ პაემნებისა და სატელეფონო საუბრების დაშვების მეტ სიხშირეზე. რამდენიმე პატიმრის მხრიდან იყო მოთხოვნა მაღაზიაში მეტი არჩევანისა და პროდუქტების მრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით რძის პროდუქტებზე. ასევე, პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ კორესპონდენციის შეზღუდვის კუთხით, ვინაიდან აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარისადმი მიმოწერა ფასიანი გახდა. ასევე საანგარიშო პერიოდში 2-მა მსჯავრდებულმა მისი სისხლის სამართლის საქმის გადახედვის მიზნით პროტესტის უკიდურეს ფორმას - შიმშილობას, ხოლო მეორე მსჯავრდებულმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიყენა. ორივე საქმე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ რეაგირებულია. ასევე, ერთ-ერთი ონკოლოგიური დაავადების მქონე შშმ პირი პატიმარი, რომელიც მოთავსებული იქნა მარტო საკანში, დამოუკიდებლად გადაადგილების პრობლემის გამო ითხოვდა გადაყვანას საკანში, სადაც სხვა პატიმრებიც იქნებოდნენ განთავსებული, რაც კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე დაკმაყოფილდა.

საკნებში მონიტორინგის დასრულების შემდეგ, გარკვეული საკითხების ადგილზე მყისიერი რეაგირების მიზნით, ცოტნე ანანიძე პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სამედიცინო პერსონალს ხვდება, ასევე კონსულტაციებს მართავს შესაბამის უწყებებთანაც.

კომიტეტის თავმჯდომარე საპატიმრო დაწესებულებაში ვიზიტების დროს პატიმრებთან კომუნიკაციას იწყებს შეკითხვით - არსებობს თუ არა რაიმე ტიპის გადაცდომები ადამიანურ ჰუმანურ მოპყრობასთან დაკავშირებით, რომელშიც ფსიქოლოგიური ზეწოლაც მოიაზრება, მაგრამ ამ კუთხით რაიმე გამოკვეთილი ფაქტი ამ დრომდე არ დასტურდება. კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ სრულიად საზოგადოება და უფლებადამცველები უნდა იყვნენ მობილიზებული, რომ პრევენცირება მოხდეს, რათა სამომავლოდ არ განმეორდეს ისეთი შემთხვევები, გამოწვევევები, რომელიც გვინახავს წარსულში, რაც ძალიან მძიმედ გადაიტანა საზოგადოებამ და მძიმეა ჩვენი სამართლებრივი სისტემისთვის, ასევე სრულად

სახელმწიფოსთვის. ამდენად, მუდმივად ყურადსაღები იქნება კომიტეტის თავმჯდომარის მხრიდან აღნიშნული საკითხი პენიტენციური დაწესებულების პერმანენტური მონიტორინგისა და შეფასებების კონტექსტში, რაც ხელს შეუწყობს პენიტენციური დაწესებულების გამჭვირვალობას და ამდენად სახდელის ისეთ პირობებში მოხდას, რომელსაც კანონი და დემოკრატიული მოწყობა ითვალისწინებს ადამიანის რესოციალიზაციის, ჰუმანური, ადამიანური მოპყრობის სტანდარტის მიხედვით. სახელმწიფოს მიზანია ყველა რესოციალიზირებული დაუბრუნდეს საზოგადოებას, მოხდეს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია, რასაც ემსახურება თავად სასჯელის მიზნებიც. ძალიან მნიშვნელოვანია ყველა სტანდარტი იყოს დაცული და რეალიზებული ყველა მიმართულებით იმ ჰუმანური მიდგომით, რასაც ითვალისწინებს ცივილური სამყაროს რესოციალიზაციის მთელი ეს პროცესი.

მე -3 პენიტენციური დაწესებულებაში, სადაც მაღალი რისკის პატიმრებია განთავსებული მონიტორინგის ღონისძიებები გაგრძელდება მომავალშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ჯანდაცვის კუთხით პრობლემები გარკვეულწილად მიზეზია იმისა, რომ სამედიცინო პერსონალი არასაკმარისია და ამასთან დაკავშირებით კომიტეტის თავმჯდომარეს აქვს რეკომენდაცია აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან - შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციების შემდეგ, პერიოდულად, პატიმრებისთვის გამოყოს დამხმარე სამედიცინო პერსონალი, მოწვეულ ექიმ-კონსულტანტთა ჯგუფი, რომლებიც პატიმრების მოთხოვნებიდან გამომდინარე შესაბამისი სამედიცინო სერვისების მიწოდებას შეძლებენ. ეს პროცესი გააუმჯობესებს პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა ჯანმრთელობის უფლებრივ მდგომარეობას, რითაც ასევე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები უფრო ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული გახდება.

რაც შეეხება კორესპონდენციის გაგზავნას, რომელიც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 21 აგვისტოს #100 ბრძანებით, რომელიც მე-3 პენიტენციურ დაწესებულებას ეხება, დარეგულირდა ბრალდებული/მსჯავრდებულის პირადი ხასიათის კორესპონდენციის გაგზავნის საკითხი, რომლითაც მსჯავრდებული/ბრალდებულისათვის ფასიანი გახდა მიმოწერა, გარდა პრეზიდენტის, პარლამეტის წევრის, პრემიერ მინისტრის, სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, სახალხო დამცველის, ადვოკატის, პროკურორის, სამინისტროს, კომერციული ბანკის მიმართ. ამ ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ მნიშვნელოვანია დახურულ სისტემაში, პატიმრის საჭიროებიდან გამომდინარე უფასოდ ჰქონდეს მას იმ თანამდებობის პირზე მიწერის უფლება, რომლის კომპეტენციაა ადამიანის უფლებების დაცვა. ამ და სხვა საკითხებზე სამინისტროსთან მიმდინარეობს კონსულტაციები.

მას შემდეგ რაც ფასიანი გახდა კომიტეტის თავმჯდომარისადმი მიწერა, კომიტეტში პატიმრების წერილობითმა მომამრთვებმა იკლო. ამ ფონზე კი მე-3 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული ვითარების სრული წარმოდგენისთვის, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომიტეტის თავმჯდომარის მხრიდან დაწესებულების პერმანენტული მონიტორინგის პროცესი.

2018 წლის 24 ივლისს, პატიმართა უფლებებზე თანამშრომლობის მიზნით კომიტეტის თავჯდომარემ ცოტნე ანანიძემ უმაღლეს საბჭოში, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ილია ვერძაძესთან და წევრ ლადო მგალობლიშვილთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა ა/ო „დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენლებთან.

შეხვედრაში არასამთავრობო ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი არჩილ ხახუტაიშვილი, პროექტების მენეჯერი ნინო ხაჩიძე და „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე მერი ჩენდლერი მონაწილეობდნენ.

სამუშაო შეხვედრისას პატიმრებისა და მათი ოჯახების პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. ასევე, „დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა უმაღლესი საბჭოს წევრებს ინფორმაცია მიაწოდეს პროექტზე - „ყოფილი პატიმრების გაძლიერება“, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით, დასავლეთ საქართველოს ოთხ რეგიონში, მათ შორის აჭარაში, ხორციელდება 3 წლის ვადით.

შეხვედრის მონაწილეები პროექტის ფარგლებში თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ და ყურადღება გაამახვილეს „პატიმრობის შესახებ“ კოდექსში მოსალოდნელ ცვლილებებსა და პატიმრებისთვის ფასიანი კორესპონდენციების თაობაზე უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ შესაბამის უწყებებთან დაწყებულ კონსულტაციებზე.“

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის თავმჯდომარემ სპეციალური ნებართვის მოპოვების შემდეგ, მე-2 პენიტენციურ დაწესებულებაში მოინახულა ბათუმის 11-12 მარტის მოვლენების ორგანიზებაში ბრალდებული მ. ღ. მისივე მომართვის საფუძველზე.
ცონტე ანანიძის განცახებით მ.ღ სამედიცინო სერვისების მიღების დაჩქარებას, საპატიმროში კვების გაუმჯობესებას ასევე, მისი საკნიდან გაყვანის ეპიზოდზე გამოძიების დაწყებას ითხოვდა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ შეხვედრისას ბრალდებულმა მ.ღ დააფიქსირა პოზიცია საგამოძიებო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის მზაობაზე.
ცოტნე ანანიძემ ბრალდებულ მ.ღ-ს მონახულების შემდეგ განაცხადა, რომ ის მზად არის სურვილის შემთხვევაში ასევე შეხვდეს ამავე საქმეზე ბრალდებულ ი.ჩხ.- საც.

მოგვიანებით, 2018 წლის 10 იანვარს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ორივე ბრალდებულს მასობრივი ძალადობის ორგანიზების ბრალდება (სსიკ- ის 226 -ე მუხლი) ჯგუფური მოქმედების ორგანიზებად გადაუკვალიფიცირა (სსიკ- ის 225 -ე მუხლის პირველი ნაწილით) და ორივე მათგანს 1. 6 თვე მიუსაჯა.

ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით გასამართლებულ ი. ჩხ. და მ. ღ. მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკური შეფასებები მოჰყვა, რომ ადგილი ჰქონდა ბრალდებულების მიმართ პოლიტიკურ დევნას.

კომიტეტის თავმჯდომარის შეფასებით ეს იყო პროტესტის გამოხატვის არაკანონიერი ფორმა, მაგრამ საზოგადოებაში არსებობდა კითხვები ორგანიზების ნაწილში ბრალდების მხარის არგუმენტების სისუსტეზე. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია შეფარდებული სასჯელი რამდენად შეესაბამება ჩადელი დანაშაულის სიმძიმეს. ის რომ ორგანიზების ნაწილში სასამართლომ ცნო უდანაშაულოდ ეს ადამიანები, მიუთითებდა იმას, რომ პოლიტიკურ დევნას ადგილი არ ჰქონია.

კომიტეტში ბრალდებული მ.ღ. მიერ სხვადასხვა საკითხზე წარმოებაში მიღებულია არა-ერთი განცხადება -საჩივარი, ყველა მათგანი რეაგირებულია. ასევე, მისივე მომართვის საფუძველზე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ შუამდგომლობა გაეწია როგორც პრეზიდენტის წინაშე შეწყალების თაობაზე, ასევე დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს წინაშე სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე. მოგვიანებით, ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით იგი გათავისუფლდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში კომიტეტის თავმჯდომარემ შუამდგომლობა გაუწია სულ - 36 მსჯავრდებულს, როგორც პრეზიდენტის წინაშე შეწყალების თხოვნით, ასევე ადგილობრივი საბჭოების წინაშე სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნით. მიმართვები გაიგზავნა ასევე, აჭარის პრობაციის ბიუროში არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი

მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიასთან პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ შუამდგომლობის თხოვნით.

ბავშვთა უფლებები

სახელმწიფო გამოწვევების წინაშეა ოჯახში, საბავშვო სამზრუნველო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებლით. პრობლემას წარმოადგენს, როგორც ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენა, ასევე მათი რეაბილიტაციის, ძალადობისგან დაცვის ეფექტიანი ღონისძიებების გატარება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პრობლემურია ბავშვთა ფიზიკური დასჯის, ასევე, ბავშვებს შორის ან და მესამე პირის მხრიდან ბულინგის შემთხვევები.

ამ მიზნით კომიტეტის თავმჯდომარის ცოტნე ანანიძის ინიციატივით 2018 წლის 1 ივნისს, აჭარის ა.რ. უმაღლეს საბჭოში გაიმართა შეხვედრა სსიპ ქალაქ ბათუმის პირველი, მე-2, მე-18 და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაქვის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. მოსწავლეები მოწვეულები იყვნენ დისკუსიისთვის ბულინგის თემაზე (რა სახით ვლინდება ძალადობა ბავშვებში, რა არის მისი გამომწვევი მიზეზები და რა ზომები უნდა გატარდეს ბულინგის საფრთხის მინიმუმამდე დასაყვანად).

დისკუსიის დროს კომიტეტის წევრებმა ცოტნე ანანიძემ, ილია ვერძაძემ, ნუგზარ სურმანიძემ და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ კარანაძემ მოისმინეს ინფორმაცია სკოლებში გამოვლენილ ბულინგის ფორმებზე, მოსწავლეების თვალით დანახულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე. მოსწავლეები ასევე, გაეცნენ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის საქმიანობის სპეციფიკას, დაათვალიერეს საკანონმდებლო ორგანოს შენობა, ხოლო შეხვედრის დასასრულს საჩუქრად გადაეცათ ბავშვის უფლებათა კონვენცია და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (ფლაერები).

ბავშვთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შეხვედრები გაგრძელდება როგორც სხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, ასევე სხვადასხვა უწყების შესაბამის წარმომადგენლებთან.

საკითხის შესწავლის შემდეგ კომიტეტს დაგეგმილი აქვს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სამწუხაროდ, დღემდე დიდია ჩვენს ქვეყანაში სოციალურად დაუცველი ოჯახების რიცხვი, ხშირ შემთხვევაში მშობლებს უჭირთ ბავშვის საჭიროებებისა და ცხოვრების სათანადო პირობებით უზრუნველყოფა. ასეთ ოჯახებში არასრულწლოვნებს გარკვეულწილად ეზღუდებათ განათლების ხელმისაწვდომობის უფლებაც. აღნიშნული მდგომარეობა კი არის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ერთერთი მნიშვნელოვანი მასაზრდოებელი ფაქტორიც.

იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა (რომელიც ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამას, რომლის ამოცანაც სიღატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება, ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერებაა) ამ პროგრამის მექანიზმები უნდა იყოს უფრო მოქნილი.

ბავშვთა უკანონო შრომის წინააღმდეგ, კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ განცხადება გააკეთა 2018 წლის 12 ივნისს, რომლითაც მიმართა შესაბამის უწყებებს კონკრეტული რეკომენდაციებითა და საკითხზე თანამშრომლობის სურვილით, კომიტეტის თავმჯდომარე ყურადღებას ამახვილებს ბათუმში ტურისტული სეზონის დროს ბათუმის ქუჩებში მიუსაფარ ბავშვთა მატებაზე, რომლებიც უკანონო „შრომას“ ეწევიან. მისი განცხადებით, ადგილზე პრობლების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ეს

საქართველოს დიდ ქალაქებშია თბილისსა და ქუთაისში, ბათუმშიც მუშაობდეს სოციალური სააგენტოს ადამიანური რესურსის პირობებში შესაბამისი მობილური ჯგუფები, ბავშვების იდენტიფიცირებისთვის და შესაბამისი დახმარებისთვის. მათთან ერთად მნიშვნელოვანია ჩაერთოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უბნის ოფიცრები, რომლებიც აწარმოებენ რეალურ გამოძიებას პრობლემის გამოვლენის თუ კონკრეტული ფაქტების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რეგიონში მოქმედებს ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა, ასევე მახინჯაურის დედათა და ბავშვთა თავშესაფრები, ამ დაწესებულებებში სტატუსის მინიჭების გარეშე ვერ ხვდება მსხვერპლი/დაზარალებული. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ამ დაწესებულებათა კონტიგენტი, შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შეიქმნას ახალი კრიზისული ცენტრი, სადაც მოხდება ასეთი პრობლემის მქონე ბავშვების განთავსება, მათი საგანმანათლებო პროცესში ჩართვა და ინდივიდუალურად თითოეული ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზება. ჩვენი რეგიონისთვის არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს ბავშვები, არასრულწლოვნები ჩაბმულნი ქვეყნის გარეთ უკანონო შრომით მიგრაციაში. მნიშვნელოვანია განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გააძლიეროს ბავშვთა შრომის გამო სწავლის მიტოვების პრევენცია და აღრიცხვიანობა, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეაგირება მოახდინოს შრომითი ექსპლოატაციის შემთხვევებზე.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ, შესაძლოა ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მასაზრდოებელი ფაქტორი არა მხოლოდ ოჯახების სიდუხჭირე იყოს, არამედ ამის უკან იდგეს დამნაშავე პირი ან /და დანაშაულებრივი ჯგუფი, რასაც დაუყოვნებლივ გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება სჭირდება. აქვე, საგულისხმოა, რომ დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ ქუჩაში მცხოვრები ბავშვები ადვილად მოექცნენ კრიმინალური გავლენის ქვეშ, რაც სიდუხჭირესთან ერთად ბავშვის ცხოვრებისთვის დამანგრეველია და ქვეყნისთვისაც საფთხის შემცველია.

როდესაც სახელმწიფომ გააქტიურა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, საკანონმდებლო რეგულაციებში ყურადღება გადატანილი იყო პასუხისმგებელ ორგანოთა მხრიდან დამნაშავის დასჯის მექანიზმებზე, თუმცა ყურადღების მიღმა დარჩა სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლება, მეტი ინფორმირებულობა უფლებებზე და ქცევის კორექტურობაზე □□ ემოციების მართვაზე.

ძალადობის შემთხვევებს ყოველთვის ჰყავს მსხვერპლიც და მოძალადეც, ორივე მათგანთან თანაბარი მუშაობაა საჭირო და თუკი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მეტი განათლებითა და ინფორმირებულობით გაგრძელდება, ვფიქრობთ მნიშვნელოვნად გააჯანსაღდება ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესი, რაც იქნება ძალადობის ერთგვარი პრევენცია სხვა ფაქტორებთან ერთად.

ეს მიმართულება აქვს აღებული სწორედ კომიტეტს და ვგეგმავთ ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა უფლებათა კონვენციისა (მათ შორის ადაპტირებული ვერსიის) და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გავრცელებას, ზოგადად ადამიანის უფლებების პროპაგანდას.

რაც შეეხება ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ კომიტეტში მომართვიანობა საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა.

უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტში მიმდინარეობს მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველი პირების უფლებრივი მდგომარეობის კუთხით სამომავლო ღონისძიებებზე.

საანაგარიშო პერიოდში კომიტეტს დახმარებისთვის ერთმა შშმ პირმა მომართა ხულოს მუნიციპალიტეტიდან, რომელიც მაღალმთიანი რეგიონიდან ქალაქში გადაადგილებისთვის ადაპტირებული ავტობუსის შეძენას ითხოვდა, ასევე ისეთ შშმ პირებზე, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლიათ გადაადგილება პერსონალური ასისტენტისთვის

მუნიციპალურ ფინანსურ დახმარებას ითხოვდა. ამ და სხვა საკითხებზე კომიტეტის თავმჯდომარე მართავს კონსულტაციებს აჭარის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან.

ასევე, საანგარიშო პერიოდში კომიტეტის თავმჯდომარე ქობულეთის უსინათლოთა კავშირის ორგანიზაციის წევრებს მხარდაჭერისთვის, უმაღლეს საბჭოში, მოქალაქეთა მიღების ფორმატში გაესაუბრა.

კომიტეტის თავმჯდომარის სხვა ღონისძიებები

2017 წლის 7 დეკემბერს, კომიტეტის თავმჯდომარე მონაწილეობდა ევროკავშირის მდგრადი განვითარების პროექტისა და მის ფარგლებში ჩატარებული კვლევების პრეზენტაციაზე, რომელიც გაიმართა თბილისში, სასტუმრო „რედისონის“ საკონფერენციო დარბაზში .

2017 წლის 29 დეკემბერს, კომიტეტის თავმჯდომარე შეხვდა 80 წლის ხანდაზმულ მოქალაქეს ჟ. ჯ.-ს ბათუმის მერიის შენობასთან, რომელიც ადვოკატთან ერთად აპროტესტებდა საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლების სამართლებრივ საფუძვლებს. კომიტეტის თავმჯდომარის უშუალო კომუნიკაციითა და შუამდგომლობით, შესაბამისი უწყების მიერ, გარკვეული ვადით გადაიდო გამოსახლების პროცესი. აღნიშნული გადაწყვეტილების პარალერულად მიმდინარეობდა გამოძიება.

2018 წლის 9 იანვარს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე იმყოფებოდა ქობულეთში გამართულ აქციაზე, რომელიც ერთი თვის წინ დაკარგული 19 წლის ახალგაზრდის გ. დ. -ს გაუჩინარებას მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება დაწყებული იყო, მაგრამ სამწუხაროდ იმ დროისათვის არც პიროვნება იძებნებოდა და არც გაუჩინარების სარწმუნო მიზეზები იყო ცნობილი, ოჯახის წევრები კი ბუნებრივია ითხოვდნენ სწრაფ რეაგირებას.
კომისიის თავმჯდომარემ იმ დღესვე მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს საკითხის პირად კონტროლზე აყვანის, მომხდარზე დროულ გამოძიების და შედეგებზე კომისიის ინფორმირების შესახებ. ასევე, დაკარგული ახალგაზრდის ოჯახის წევრებთან შეხვედრის ორგანიზებასა და გასაუბრებაზე.

2018 წლის 26-29 მარტს, კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებთან (გიორგი მანველიძე, ირაკლი ჭეიშვილი) ერთად ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიწვევით, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 34-ე სესიას დაესწრო.
კონგრესი, რომელიც მიეძღვნა - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ქალაქებისა და რეგიონების მმართველობას, ევროპის საბჭოს სასახლეში გაიმართა (სტრასბურგი, საფრანგეთი).
კონგრესზე ადამიანის უფლებათა კომისარმა ნილს მუიჟნიეკსმა - ადამიანის უფლებების წევრ სახელმწიფოებში, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე განვითარების შესახებ მოხსენება წარმოადგინა.
კონგრესმა ადამიანის უფლებათა კომისრისა და ნიდერლანდების წარმომადგენელის ჰერარდ ბერგმანის ინიციატივით შეიმუშავა და მიიღო რეზოლუცია - სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების შესახებ, რომლითაც იხელმძღვანელებენ ადგილობრივ დონეზე არჩეული პირები ყოველდღიურ საქმიანობაში - ადგილებზე ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებისთვის. ასევე, წარმოდგენილი იყო კონგრესის წევრი ქვეყნების თანამშრომლობის ფარგლებში ორი სამაგიდო წიგნი, რომელიც კონგრესმა შეიმუშავა რათა დაეხმაროს ევროპის ქალაქებსა და რეგიონებს საჯარო პოლიტიკის მართვის საკითხებში - მეტი გამჭვირვალობისა და მონაწილეობითი პოლიტიკის გასატარებლად, კერძოდ უკრაინის, მოლდოვას, საქართველოსა და სომხეთის ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის.

კონგრესის ფარგლებში ადგილობრივ ხელისუფლებათა პალატის სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს საქართველოში 2017 წელს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ბრიტანელმა დელეგატმა სტიუარტ დიქსონმა დადებითად შეაფასა ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული და მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ადგილობრივ არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატები მონაწილეობდნენ, რამაც ერთგვარად ხელი შეუწყო ცოცხალ საარჩევნო კამპანიას და მედია გაშუქებას გაზრდილი პროფესიონალიზმით.
რაც შეეხება რეგიონთა პალატის სხდომას, ვრცელი მოხსენებით წარსდგა რეგიონთა საკანონმდებლო ორგანოების კონფერენციის თავმჯდომარე ანა ლუისა პერეირა ლუის - რეგიონის იდენტურობასა და ნაციონალურ დონეზე ინტეგრაციის საკითხებზე. საუბარი შეეხო ასევე ევროპის განსაკუთრებული სტატუსის მქონე რეგიონებში რეფერენდუმის საკითხს - რეფერენდუმი როგორც დემოკრატიული მექანიზმი თუ გამოწვევა და რისკი (კატალონიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში), რაზედაც ვენეციის კომისიის ექსპერტებმა წარმოადგინეს შეფასებები.
კონგრესმა მიიღო რეზოლუცია და რეკომენდაციები - ბავშვთა უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებში ქალაქებისა და რეგიონების კონკრეტული როლის მნიშვნელობაზე - განათლების, ჯანმრთელობის, საცხოვრისის, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერის საკითხებში, რაც ასევე მოითხოვს მზარდ თანამშრომლობას სხვადასხვა დონის მმართველობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.
სესიაზე განიხილეს ასევე ევროპაში ტერიტორიული ერთეულების დემოკრატიის მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის ფარგლებში მოხსენებები.
აღნიშნული ვიზიტი, მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ადამიანის უფლებების გაუმჯობესების მიზნით ევროპული პრაქტიკის, გამოცდილების გაზიარებისა და სიახლეების გაცნობის თვალსაზრისით. ვიზიტი საინტერესო იყო იმითაც, რომ კონგრესის ფარგლებში კომიტეტის თავმჯდომარე შეხვდა ევროპის საბჭოს კონგრესის თავმჯდომარეს გუდრუნ მოსლერ - ტორნსტრომს, რომელსაც გაესაუბრა ჩვენი რეგიონის შესახებ და შესთავაზა კონგრესის ერთ-ერთი სამუშაო ვიზიტის ბათუმში ჩატარება. ასევე ცოტნე ანანიძე შეხვდა სტრასბურგის მერის მოადგილეს რაფილ-ელმრინი ნაველს (სტრასბურგის ურბანული გაერთიანების მრჩეველი), რომელსაც ესაუბრა ბათუმის როგორც ტურისტული პოტენციალის მქონე ქალაქის შესაძლებლობებზე. რეგიონისა და ქალაქის პოპულარიზაციის მიზნით კომიტეტის თავმჯდომარემ მათ ბათუმის ტურისტული სასაჩუქრე პაკეტები გადასცა.

2018 წლის 27 ივლისს, ბათუმში მოქალაქე ვ.ტ. რომელსაც დელტაპლანის გაქირავების ბიზნესი ჰქონდა, აჭარის მთავრობის სახლის წინ სხეულის მძიმე დაზიანებით აპროტესტებდა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც საჰაერო ნავიგაციამ დელტაპლანის გაქირავების უფლება აუკრძალა.
კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე შეხვდა მოქალაქეს, ასევე გაეცნო საქმიანობის უფლების შეჩერების სამართლებრივ საფუძვლებს, რა დროსაც შესაბამისი უწყების პასუხისმგებელი პირისაგან მიიღო დაპირება იმის თაობაზე, რომ არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ, მოქალაქეს დაუყოვნებლივ მიეცემოდა საქმიანობის გაგრძელების უფლება, რის შემდეგაც მოქალაქემ პროტესტი შეწყვიტა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიერ გადაყვანილ იქნა რეფერალურ საავადმყოფოში.

2018 წლის 3 ივნისს, კომიტეტის თავმჯდომარე მონაწილეობდა კონფერენციაში - არჩევნებისას სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურისა და პოლიციის მუშაობის სპეციფიკასა და მეთოდების შესახებ, რომელიც გაიმართა თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი -ინ-ის“ საკონფერენციო დარბაზში.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები, რომელიც მოიცავდა სახელმწიფოს უსაფრთხოების (კაგებე) მუშაობის მეთოდების გაანალიზებას საბჭოთა პერიოდის დროს და სუსის მუშაობის სპეციფიკას თანამედროვე საქართველოში, რომლის შემდეგაც გაიმართა დისკუსია. ასევე, საუბარი შეეხო მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებსაც.

ღონისძიებას, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა პარტიის წევრები - ბათუმიდან, ბორჯომიდან, გორიდან, თელავიდან და თბილისიდან, ორგანიზაციას უწევდა „ლიბერალური განათლების ქართულ-ამერიკული ინიციატივის“ ჯგუფი.

2018 წლის 3 აგვისტოს, კომიტეტის თავმჯდომარე არასამთავრობო ორგანიზაცია დემოკრატიის ინსტიტუტის პროექტის - „პეტიცია ხალხის ხმა თვითმმართველობაში“ შედეგების პრეზენტაციას დაესწრო, რომელიც გაიმართა ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

პროექტის მიზანი სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სისტემის გაძლიერება იყო.

ორგანიზატორებმა წარადგინეს პროექტის განხორციელებისას მიღწეული შედეგები და სხვადასხვა მუნიციპალიტეტში (აჭარა, გურია, სამეგრელო, ზემო სვანეთი) მიღებული პეტიციები.

საანგარიშო პერიოდში, კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ილია ვერძაძე რეგიონში ქალთა უფლებების დაცვის და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად, როგორც უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, მონაწილებდნენ თემის ირგვლივ გამართულ არაერთ ღონისძიებაში, ასევე კომისიის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს მიერ, აჭარის ა.რ. მთავრობის და მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში.